გლობალური სტრატეგიული სამკუთხედი და საქართველო (რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში)

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.21

ნონა ლომიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ORCID iD https://orcid.org/0009-0005-0197-5461

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ბოლო წლების განმავლობაში გლობალურ გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში მიმდინარე ძირეული ცვლილებები, რაც განპირობებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა (აშშ) და რუსეთის ფედერაციას (რუსეთი) შორის სტრატეგიული კონკურენციის გამწვავებით და განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომით. აღნიშნულმა პროცესებმა არსებითად შეცვალა ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთქმედების ლოგიკა, რამაც თავის მხრივ, ახალი გამოწვევები წარმოშვა გლობალური სტაბილურობისთვის. ნაშრომი აანალიზებს ჩინეთ-აშშ-რუსეთის ურთიერთობების ახალ სამმხრივ მოდელს, ჩინეთის საგარეო პოლიტიკური ხედვისა და დიპლომატიური ინიციატივების ჭრილში. კვლევა ფოკუსირებულია ჩინეთის სტრატეგიულ გათვლებსა და ბირთვული განიარაღებისადმი მის დამოკიდებულებაზე. ასევე, განხილულია პეკინის ნეიტრალიტეტზე დაფუძნებული პოზიცია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს გეოპოლიტიკურ კონტექსტს, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ ჰაბს და მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის პირობებში ახალი რეგიონული შესაძლებლობების მონაწილეს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, მრავალპოლარულობა, რუსეთ-უკრაინის ომი, რეგიონული თანამშრომლობა, საერთაშორისო უსაფრთხოება.

The Global Strategic Triangle and Georgia
(in the Context of the Russia-Ukraine War)

Nona Lomidze
Professor, Georgian Technical University
lomidzenona07gtu.ge
ORCID ID https://orcid.org/0009-0005-0197-5461

Abstract

The article examines the profound transformations that have happened in the global geopolitical structure in recent years, primarily driven by the intensification of strategic rivalry between the United States and Russia, with particular emphasis on the Russia-Ukraine conflict. These developments have significantly altered the dynamics of interaction among China, the United States, and Russia, generating new challenges for global stability. The study analyses a new trilateral model of China–U.S.–Russia relations through the lens of China's foreign policy outlook and diplomatic initiatives. Special attention is devoted to China's strategic calculations and its approach to nuclear disarmament, as well as to Beijing's neutrality-based stance in the context of the Russia-Ukraine conflict.

The article places particular emphasis on Georgia's geopolitical role as a strategic hub connecting East and West and as a participant in emerging regional opportunities within the framework of an increasingly multipolar international order.

Keywords: Georgia, multipolarity, Russia-Ukraine war, regional cooperation, international security.

შესავალი

დღეს მსოფლიო გეოპოლიტიკური გარდატეხის ეპოქის ზღვარზე დგას, სადაც ძალთა ბალანსი და საერთაშორისო წესრიგის ძირითადი პარადიგმები იცვლება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დამკვიდრებული გლობალური სტრუქტურა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აშშ-ის ლიბერალურ ჰეგემონიასა და მისი სტრატეგიული მოკავშირეების გავლენას ეფუძნებოდა, თანდათანობით ტრანსფორმირდა.

ამ ცვლილებათა კატალიზატორად რამდენიმე ფაქტორი იქცა: აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, და ჩინეთის სტრატეგიული აღმასვლა, როგორც დამოუკიდებელი გლობალური მოთამაშისა. რუსეთ-უკრაინის ომმა არა მხოლოდ დაარღვია რეგიონული სტაბილურობა, არამედ მკვეთრად დააჩქარა მსოფლიო გეოპოლიტიკური ცენტრების გადანაცვლება. აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან სანქციური პოლიტიკის გაძლიერებამ რუსეთი და ჩინეთი საერთო ეკონომიკური და პოლიტიკურ-საგარეო ინტერესების ირგვლივ დააახლოვა. ამავე დროს, შეინიშნება აშშ-ის გავლენის შესუსტება რიგ საერთაშორისო პლატფორმებზე და ჩინეთის მზარდი ჩართულობა როგორც გლობალურ ეკონომიკაში, ისე უსაფრთხოების დღის წესრიგში.

საერთაშორისო სისტემის მომავალი სტრუქტურის შესახებ დისკურსში ბოლო ხანებში აქტიურად განიხილება რამდენიმე მოსაზრება: პირველი მათგანი ეფუძნება რწმენას, რომ ჩინეთი გადააჭარბებს აშშ-ს და მომდევნო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნების სიის სათავეში მოექცევა . მეორე მოსაზრების მიხედვით, შეერთებული შტატები, როგორც 90-იანი წლების უნიპოლარული მომენტის ჰეგემონი ზესახელმწიფო, დაცემის გზაზეა და იგი ამ მდგომარეობას თავს ვერ დააღწევს. მესამე მოსაზრებით კი, გლობალური პოლიტიკური ცენტრი ატლანტიკიდან წყნარი ოკეანისკენ გადადის.[270]

ჩინეთის დიპლომატიური ხედვები რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებაში

ჩინეთის ხედვები ემყარება მიუკერძოებლობის პრინციპს, ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობასა და შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან აცილების სურვილს, თუმცა, არ გამორიცხავს ძალის ლეგიტიმურ გამოყენებას სახელმწიფოს უფლებების დასაცავად. პეკინის შეფასებით, აღნიშნული კონფლიქტი

[270] Niall Ferguson, "The Decade the World Tilted East," *Financial Times*, December 27, 2009, https://www.ft.com/content/ac26eb9a-f30a-11de-a888-00144feab49a.(14.06.2025

წარმოადგენს კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესის შედეგს, სადაც ორივე მხარის უსაფრთხოების გონივრულ შიშებსა და მოთხოვნებს უნდა მიენიჭოს ყურადღება და მათ უნდა მიეცეს შესაბამისი რეაგირება.[271]

ჩინეთი მხარს უჭერს უსაფრთხოების საერთო, ყოვლისმომცველ, თანამშრომლობაზე დაფუძნებულ და მდგრად კონცეფციას. მკაფიოდ ემიჯნება ისეთ პრაქტიკას, რომელიც უსაფრთხოებას სხვათა ხარჯზე ან სამხედრო ალიანსების გაფართოებით უზრუნველყოფს. ჩინეთი ასევე მოითხოვს, რომ გაერომ და საერთაშორისო საზოგადოების ყველა აქტორმა უპირატესობა მიანიჭოს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, დაძაბულობის შემცირებასა და დიპლომატიური გადაწყვეტილებების ხელშეწყობას, ნაცვლად კონფლიქტების გამწვავებისა. ამ მიზნით, ჩინეთმა წარმოადგინა ექვსპუნქტიანი ინიციატივა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის თავიდან ასაცილებლად. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჩინეთსა და უკრაინას შორის ისტორიულად მეგობრული კავშირები არსებობს. უკრაინა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩინეთის ინიციატივაში „ერთი სარტყელი-ერთი გზა“. ეს სრულებით ბუნებრივს ხდის იმას, რომ ჩინეთი არ გაწყვეტს ურთიერთობებს უკრაინასთან სხვა ქვეყანასთან მისი ურთიერთობის გამო. რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებაში ჩინეთის ნეიტრალიტეტი ძირითადად ოთხი კომპონენტით განისაზღვრება:

- პირველ რიგში, კონფლიქტი სლავურ ერებს შორის წარმოიშვა და ჩინეთს უშუალოდ არ ეხება;
- მეორე მხრივ, როგორც რუსეთი, ისე უკრაინა ჩინეთის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან, რის გამოც, პეკინი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზებს ეძებს;

[271] Baiyi Wu, “Some Lessons from the Russia-Ukraine Crisis and China’s Response,” *17+1 Think Tank*, April 25, 2022, https://www.17plus1-thinktank.cn/article/1539.html?source=article_link. (14.06.2025)

- მესამე ფაქტორი - საერთაშორისო კომპლექსური კონიუნქტურაა, ჩინეთს გააჩნია სადავო საკითხები მეზობელ ქვეყნებთან, რაც უპირატესობას ანიჭებს არაგარეულობას სხვის გეოპოლიტიკურ კონფლიქტებში;
- მეოთხე კომპონენტია რეალური ძალის შენიღბვის სტრატეგია. ჩინური დიპლომატიური კულტურა გამოირჩევა თავშეკავებულობით, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში მოქნილობისა და ძალის თანმიმდევრული განვითარების საშუალებაა.

ჩინეთი უპირატესობას ანიჭებს „რბილ ძალას“ და ღიად არ ახდენს სამხედრო პოტენციალის დემონსტრირებას. ამით ცდილობს თავისი განვითარების სტრატეგიის საიდუმლოდ შენარჩუნებას და გარე აქტორების დეზორიენტაციას. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, რუსეთმა მნიშვნელოვნად გადაახალისა როგორც ეკონომიკური, ასევე საგარეო პოლიტიკური კურსი. განსაკუთრებული აქცენტით არადასავლურ ქვეყნებთან, მათ შორის - ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე. პარალელურად დაჩქარდა „დედოლარიზაციის“ პროცესი, რაც წარმოადგენს რუსეთის სტრატეგიულ პასუხს დასავლეთის სანქციებზე. რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობების უწყვეტი დინამიკის ფონზე, ჩინეთის სტრატეგიული გათვლები სულ უფრო რთულ და მრავალმხრივ ხასიათს იძენს. ერთის მხრივ, პეკინი ცდილობს რუსეთის მხარდაჭერით დააბალანსოს აშშ-ის ზეწოლა, ხოლო მეორეს მხრივ აცნობიერებს, რომ ამერიკასთან გარკვეული დონის თანამშრომლობა გადამწყვეტია როგორც საერთაშორისო იმიჯის, ისე ეკონომიკური ინტერესების შენარჩუნებისთვის.

როგორც ცნობილია, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყებიდან დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლამდე დასავლური მედია, განსაკუთრებით აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, ამ მოვლენას რუსულ აგრესიად აფასებდა. თუმცა, აშშ-სა და რუსეთის ლიდერებს შორის პირველი სატელეფონო საუბრის შემდეგ, ამერიკულ მედიაში ტონი შერბილდა, რადიკალური შეფასებები შემცირდა და უფრო ზომიერი მიდგომა აღინიშნა. ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკამ უკრაინის საკითხში ნაწილობრივ შეამსუბუქა ჩიხური მდგომარეობა, რადგან ხაზგასმით

აღინიშნა, რომ აშშ-მა შეწყვიტა უკრაინისთვის ეკონომიკური და სამხედრო დახმარება. საყურადღებოა, რომ ბოლო პერიოდში ჩინეთის შიგნით რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული შეხედულებები უფრო მრავალფეროვანი გახდა. ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენცია შეშფოთებას იწვევს ჩინეთის საზოგადოებაში, რაც იწვევს როგორც ზოგად სკეპტიციზმს, ასევე საზოგადოებრივ დისკურსს ინტერნეტსივრცეში. ვრცელდება მოსაზრება, რომ ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობები მხოლოდ მაშინ გაძლიერდება, თუ აშშ-რუსეთის ურთიერთობები დაძაბული იქნება. ეს ართულებს სამმხრივ სტრატეგიულ ბალანსს და გამორიცხავს ერთდროულად სამმხრივ თანამშრომლობას.

ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს: სურსათის, ენერგეტიკის, საგარეო ვაჭრობისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. სურსათის მიმართულებით იგი ინარჩუნებს თვითკმარობის პოლიტიკას, ხოლო ენერგეტიკის სფეროში განახლებადი ტექნოლოგიების განვითარებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში შეამცირებს ჩინეთის დამოკიდებულებას წიაღისეულ ენერგორესურსებზე.

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე (24.02.2025), ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა ქვეყნის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. მისი თქმით, ჩინეთის ინტერესში არ შედის იმ კონფლიქტებში ჩარევა, რომლებიც უკავშირდება სხვა მსხვილი სახელმწიფოების ინტერესებს.[272] G20-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ვან იიმ განაცხადა, რომ უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით მზარდია მოწოდებები მოლაპარაკებებისა და მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისკენ. ,,მშვიდობიანი დიალოგი ყოველთვის ჯობია ძალისმიერ დაპირისპირებას" აღნიშნა მან. ჩინეთი მხარს უჭერს ყველა იმ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია დიალოგისა და კონსენსუსისკენ, მათ შორის, აშშ-სა და რუსეთს შორის ბოლო დროს მიღწეულ შეთანხმებებს. თუმცა რეალობაში, თუ ტრამპის

[272] Yi Wang, "Keynote Speech at the 61st Munich Security Conference 'China Session'," *Ministry of Foreign Affairs of China*, February 15, 2025, https://www.fmprc.gov.cn/eng/.(14.06.2025)

ადმინისტრაცია ეცდება სტრატეგიას „კავშირი რუსეთთან ჩინეთის წინააღმდეგ“, რთულია წარმოვიდგინოთ რუსეთის მხრიდან ასეთი თანამშრომლობა.[273] 2022 წლიდან ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობები სულ უფრო ღრმავდება ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის მიმართულებით და რუსეთისთვის არ არის მიზანშეწონილი ჩინეთთან ურთიერთობის დათმობა ტრამპის ადმინისტრაციასთან ალტერნატიული თანამშრომლობის ხარჯზე. მეტიც, აშშ-ის ზეწოლის შესუსტებასთან ერთად იზრდება რუსეთის სტრატეგიული ავტონომია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, რაც ქმნის ახალ სივრცეს ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობების განვითარებისთვის, მათ შორის, ენერგეტიკული მიწოდების ქსელის გაფართოებისთვის შორეულ აღმოსავლეთში. ტრამპის ადმინისტრაციის „ტრანზაქციური რეალიზმის“ სტრატეგია მიზნად ისახავს სანქციების შემსუბუქებას, რამაც შესაძლოა, კიდევ უფრო გააუმჯობესოს რუსეთის შესაძლებლობა ექსპორტისთვის ნავთობის, გაზისა და სამხედრო ტექნიკის მიმართულებით. თუმცა ამჟამად სანქციები რჩება აშშ-ის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად მოლაპარაკებების დროს, რასაც ტრამპი როგორც გამოცდილი მოლაპარაკე მხარე, აუცილებლად გამოიყენებს.[274]

აშშ-რუსეთის ახალი კონკურენცია და ჩინეთის პასუხი

აშშ-ის სწრაფვა ომის დასრულებისკენ ასახავს სირთულეებს, რაც რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის პროცესს თან ახლავს. აშშ-ის ნარატივის შეცვლა მეტყველებს ვაშინგტონის სურვილზე, მიაღწიოს პროგრესს მოლაპარაკებებში რუსეთთან, თუმცა აღნიშნული მიზანი რთულად მისაღწევია. ერთის მხრივ, შეერთებული შტატები ხაზს უსვამს მოკლევადიან პროგრესს, მაგალითად, პირისპირ შეხვედრების დაწყებას რუსეთთან; ხოლო მეორეს მხრივ, ისინი ცდილობენ

[273] Statista, *Combined Gross Domestic Product (GDP) in Purchasing Power Parity (PPP) of the BRICS and G7 Countries from 2000 to 2024*, 2024, https://shorturl.at/CXUlQ.(14.06.2025)

[274] Wenxiang He and Zhang Yi, “U.S. Observation | Trump and Zelensky 'Fall Out' in the White House: Turning Point in U.S.-Russia Relations and Its Global Spillover Impact,” *FDDI, Fudan University*, March 3, 2025, https://fddi.fudan.edu.cn/fa/64/c21253a719460/page.htm. (14.06.2025)

განახორციელონ ურთიერთობების გადატვირთვა, თუმცა სტრატეგიული წინააღმდეგობების გადაჭრის კონკრეტული გეგმა არ გააჩნიათ. „რუსეთი ეტაპობრივად ხდება დომინანტი მხარე რუსეთ-უკრაინის ომში“[275], ომის ხანგრძლივობა გამოწვეულია იმით, რომ რუსეთი ფაქტობრივად უპირისპირდება მთელ კოლექტიურ დასავლეთს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო კონტექსტი შეიცვალა და პოლიტიკურ-ტერიტორიული საკითხები კიდევ უფრო მგრძნობიარე გახდა. ამავდროულად, აშშ-ის როლი დასავლეთში იცვლება. იგი კონფლიქტის მონაწილიდან მეტწილად მედიატორად იქცა, რაც რუსეთსაც ახალ შესაძლებლობებს აძლევს. რუსეთი, მიუხედავად აშშ-თან მოლაპარაკებების მიმართ ინტერესისა, ზედმეტი ილუზიების გარეშე მოქმედებს. მას ესმის, რომ დასავლეთთან ნებისმიერი შეთანხმება შესაძლოა ერთპიროვნულად დაირღვეს.

ჩინეთისთვის პრიორიტეტულია საერთაშორისო გარემოში სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის შექმნა, რაც უზრუნველყოფს მეზობელი ქვეყნების ნდობასა და რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებას. როგორც გლობალურ ძალას, ჩინეთს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებისთვის შექმნას პროგნოზირებადი და საიმედო სივრცე, რომელიც დაფუძნებული იქნება საგარეო პოლიტიკის უწყვეტობასა და ქცევის სტაბილურ პრაქტიკაზე. ეს განხორციელებადია შემდეგი მიდგომებით:

- პოლიტიკურ სტაბილურობას მშვიდობიანი განვითარების პრინციპისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაძლიერებით;
- ეკონომიკურ პროგნოზირებადობა ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებით;
- უსაფრთხოების სფეროში მოქნილი თანამშრომლობის ხელშეწყობა, სამხედრო ბლოკებზე უარის თქმა და რეგიონული უსაფრთხოების ინკლუზიური არქიტექტურის მხარდაჭერა;

[275] Yu Zhou, “Three Years into the Russia-Ukraine Conflict: U.S.–Russia Resume Contact — But Is Europe the Biggest Loser?” *CZTV*, February 25, 2025, https://fddi.fudan.edu.cn/fddien/main.htm. (14.06.2025)

- კონფლიქტებზე გამარჯვებისკენ მიმართული მიდგომის ნაცვლად, აუცილებელია პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება მათი სამართლიანი და მდგრადი გადაჭრის უზრუნველყოფისათვის.

ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობის „დესეკიურიტიზაცია“, როდესაც ეკონომიკური პროცესები არ განიცდიან უსაფრთხოების პოლიტიკის ზემოქმედებას.[276] ჩინეთი და მისი მეზობლები უნდა დაეყრდნონ პრინციპს „უსაფრთხოება უსაფრთხოებისთვის, ეკონომიკა ეკონომიკისთვის“, რათა თავიდან იქნას აცილებული ეკონომიკური პროექტების პოლიტიზაცია.

ახალი რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნა

ჩინეთი მხარს უჭერს უსაფრთხოების ინკლუზიური მოდელის განვითარებას და ისწრაფვის შექმნას მდგრადი რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და ურთიერთდამოკიდებულებაზე და არა ბლოკურ დაპირისპირებაზე. ეს მიდგომა მიზნად ისახავს ნულოვანი ჯამის ლოგიკის და კონფრონტაციული აზროვნების შემცირებას და რეგიონისთვის სტაბილური განვითარების ხელშეწყობას.

დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე (23 იანვარი, 2025), ტრამპის მიერ გამოთქმულ ბირთვულ განიარაღებაზე მოწოდებას ჩინეთის მხარემ ოფიციალური პასუხი გასცა. აშშ-სა და რუსეთს, როგორც ყველაზე მსხვილ ბირთვულ სახელმწიფოებს, ეკუთვნით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის განცხადებით, ჩინეთი ინარჩუნებს მინიმალურ ბირთვულ პოტენციალს, არ არის ჩართული შეიარაღების რბოლაში და მხარს უჭერს

[276] Fangyin Zhou, “New Changes in China's Surrounding Security Environment and the Choice of Diplomatic Strategies in Its Surrounding Areas,” *China Diplomacy, GDI*, March 3, 2025, http://cn.chinadiplomacy.org.cn/gdi/2025-03/03/content_117742286.shtml. (14.06.2025)

გაეროს მექანიზმზე დაფუძნებულ მულტილატერალიზმს.[277] ჩინეთმა წარმოადგინა 13-პუნქტიანი გეგმა ბირთვული განიარაღების მიმართულებით.[278] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აშშ ხშირად მოუწოდებს ჩინეთს შეიარაღების კონტროლის შესახებ მოლაპარაკებებისკენ, რადგან აცნობიერებს, რომ დროთა განმავლობაში ჩინეთი გადააჭარბებს მას ეროვნული ძლიერების მაჩვენებლით.

ამერიკის სამხედრო ხარჯები მუდმივად იზრდება, თუმცა რეალური საბრძოლო შესაძლებლობები არ უმჯობესდება იმავე ტემპით.[279] აშშ-ს ეკონომიკა ნაკლებად განვითარებულ წარმოებაზეა დამოკიდებული და მაღალი ინფლაცია სამხედრო ხარჯების ზრდასთან ერთად დოლარის სანდოობას ამცირებს. ჩინეთს გააჩნია ძლიერი სამრეწველო სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო საჭიროებებისთვის რესურსების მობილიზებას. ამჟამად, შეიარაღების შესახებ ჩინეთ აშშ-ის მოლაპარაკებებს მნიშვნელობა ეკარგება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტაივანის საკითხი კვლავ აქტუალურია და აშშ-ის ჩარევა მოსალოდნელია.

ტრამპის ინიციატივა ბირთვული იარაღის ერთობლივი კონტროლის შესახებ, სავარაუდოდ, არ წარმოადგენს გულწრფელ წინადადებას. მან პრეზიდენტობის პერიოდში არაერთხელ გადათქვა აშშ-რუსეთის შეიარაღების კონტროლის შეთანხმებები, მათ შორის, გამოვიდა INF ხელშეკრულებიდან და უარყოფითად მოეკიდა სტრატეგიული შეიარაღების ახალი შეთანხმების გაგრძელებას. ამ ფონზე, მისი ინიციატივა შესაძლოა აშშ-ის გლობალური დომინირების გაძლიერებას ემსახურებოდეს და არა რეალურ განიარაღებას.

---

[277] *China Diplomacy in the New Era*, "U.S., China Must Understand Each Other 'More Fully': Kissinger," 2023, http://en.chinadiplomacy.org.cn/2023-01/23/content_85071892.shtml. (14.06.2025)

[278] Yi Wang, "Answers Questions from Chinese and Foreign Journalists on China's Foreign Policy and External Relations," *Ministry of Foreign Affairs of China*, March 7, 2025, https://www.mfa.gov.cn/web/wjbz_673089/. (14.06.2025)

[279] შ. ოთხოზორია, „ჩინეთის კონკურენცია და საერთაშორისო წესრიგი," *შრომები* №2 (2024), https://papers.eta.edu.ge/index.php/papers/article/view/8427/8510. (14.06.2025)

საქართველო გლობალური ძალების კონკურენციის კონტექსტში

გლობალური ძალების კონკურენციის პირობებში საქართველო აღმოჩნდება არამხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ პოლიტიკურად ისეთ სივრცეში, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გადაკვეთის წერტილს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.[280] ჩინეთ-აშშ-რუსეთის გეოპოლიტიკური დაპირისპირება პირდაპირ აისახება სამხრეთ კავკასიის სტაბილურობაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეგიონში მზარდია ჩინეთის ეკონომიკური მონაწილეობა როგორც "სარტყელი და გზის" ინიციატივის ფარგლებში, ისე სავაჭრო და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტრატეგიულ ბალანსს: ერთი მხრივ, ქვეყანა აქტიურად ცდილობს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავებას; მეორე მხრივ კი, ჩინეთთან პარტნიორობის გაძლიერება ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა. ამ ფონზე აუცილებელია საქართველოს საგარეო პოლიტიკის მაქსიმალური მოქნილობა.

ქვეყანა უნდა მოქმედებდეს როგორც ,,ხიდი" - დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მონაწილეობდეს რეგიონულ ინიციატივებში, შეინარჩუნოს საგარეო პარტნიორების თანაბარი მიმართება და განავითაროს ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ურთიერთობები მრავალმხრივ ფორმატებში. გარდა ამისა, საქართველოს საგარეო უსაფრთხოების სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს პრევენციული დიპლომატიის, სტრატეგიული კომუნიკაციისა და ეკონომიკური მდგრადობის პრინციპებს.[281] ქვეყანა უნდა გამოირჩეოდეს როგორც პროგნოზირებადი, სტაბილური და ღია პლატფორმა რეგიონული თანამშრომლობისთვის, განსაკუთრებით ცვალებადი გეოპოლიტიკური რეალიების პირობებში. საქართველოს როლი, როგორც რეგიონული ჰაბისა,

---

[280] გ. დობორჯგინიძე, „საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე," *Forbes Georgia*, 11 თებერვალი, 2019, https://forbes.ge/saqarthvelo-rogorts-shua-de/.(14.06.2025)

[281] თ. ფხალაძე, თ. შარაშენიძე, გ. ვოლსკი, თ. ქარუხნიშვილი, მ. ცაცანაშვილი, გ. გვიმრაძე, ნ. ბაჩიაშვილი და ნ. დევდარიანი, *Soft Power — რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში* (თბილისი: მთაწმინდელი, 2010).

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მრავალპოლარული წესრიგის პირობებში, სადაც კონკურენცია თანდათანობით გადაიზრდება პარტნიორობის ახალ ფორმებში.

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ჩინეთის, აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობათა დინამიკა. ამ გარემოებამ შექმნა ახალი შესაძლებლობები ჩინეთისთვის, როგორც გლობალური მოთამაშისთვის. გლობალური არასტაბილურობის პირობებში, პეკინი ხაზს უსვამს მრავალმხრივი თანამშრომლობისა და დიალოგის აუცილებლობას რეგიონული სტაბილურობისა და ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია სტრატეგიულ ბალანსზე: ის ერთდროულად ცდილობს ურთიერთობების გაღრმავებას რუსეთთან და კონტაქტის შენარჩუნებას აშშ-სთან, რაც მიზნად ისახავს სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის მხარდაჭერას. ბირთვული განიარაღების საკითხში ჩინეთი მოითხოვს, რომ პროცესი დაიწყოს აშშ-სა და რუსეთის ვალდებულებების შესრულებით, მათი არსენალის სიმრავლის გათვალისწინებით. ამავდროულად, პეკინი ინარჩუნებს ბირთვულ შესაძლებლობებს მხოლოდ მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოებისთვის და უარს ამბობს შეიარაღების რბოლაში მონაწილეობაზე. ჩინეთის სტრატეგია ეფუძნება ნეიტრალიტეტს, დიალოგს და გეოპოლიტიკური ბალანსის მართვას. იგი აქტიურად ავითარებს დიპლომატიურ ინიციატივებს ენერგეტიკის, ჰუმანიტარულ და განიარაღების სფეროებში, რითაც განამტკიცებს საკუთარ როლს გლობალური წესრიგის რეფორმირებაში. აშშ-ის მიერ ეკონომიკური სანქციების გამოყენება შესაძლოა ეფექტური იყოს მოკლევადიან პერიოდში, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ტენდენცია იწვევს დოლარის პოზიციების გაძლიერებასთან ერთად მის შერყევასაც და უბიძგებს გლობალურ სამხრეთს ეკონომიკური დივერსიფიკაციისკენ.

BRICS-ის გაფართოებისა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების ფონზე საქართველოს გეოპოლიტიკური როლი, იძენს ახალ სტრატეგიულ მნიშვნელობას. როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდებარე ქვეყანა, საქართველო შეიძლება იქცეს დამაკავშირებელ რგოლოდ მრავალპოლარულ სისტემაში. ამისთვის აუცილებელია საგარეო პოლიტიკის მოქნილობა, ეკონომიკური მდგრადობა და პროგნოზირებადი დიპლომატია. საქართველო უნდა პოზიციონირდეს როგორც რეგიონული თანამშრომლობის არქიტექტორი და არა მხოლოდ გეოპოლიტიკური არჩევანის წინაშე მდგარი ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დობორჯგინიძე, გ. 2019. „საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე.“ *Forbes Georgia*, 11 თებერვალი. https://forbes.ge/saqarthvelo-rogorts-shua-de/.
2. ოთხოზორია, შ. 2024. „ჩინეთის კონკურენცია და საერთაშორისო წესრიგი.“ *შრომები* №2. https://papers.eta.edu.ge/index.php/papers/article/view/8427/8510.
3. ფხალაძე, თ., თ. შარაშენიძე, გ. ვოლსკი, თ. ქარუხნიშვილი, მ. ცაცანაშვილი, გ. გვიმრაძე, ნ. ბაჩიაშვილი, და ნ. დევდარიანი. 2010. *Soft Power — რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში.* თბილისი: მთაწმინდელი.
4. Bureau of Economic Analysis, U.S. Department of Commerce. 2023. *Direct Investment by Country and Industry*. https://shorturl.at/AINEs.
5. China Diplomacy in the New Era. 2023. “U.S., China Must Understand Each Other 'More Fully': Kissinger.” http://en.chinadiplomacy.org.cn/2023-01/23/content_85071892.shtml.
6. Fangyin, Zhou. 2025. “New Changes in China's Surrounding Security Environment and the Choice of Diplomatic Strategies in Its Surrounding Areas.” *China Diplomacy, GDI*, March 3. http://cn.chinadiplomacy.org.cn/gdi/2025-03/03/content_117742286.shtml.
7. Ferguson, Niall. 2009. “The Decade the World Tilted East.” *Financial Times*, December 27. https://www.ft.com/content/ac26eb9a-f30a-11de-a888-00144feab49a.

8. He, Wenxiang, and Zhang Yi. 2025. "U.S. Observation | Trump and Zelensky 'Fall Out' in the White House: Turning Point in U.S.-Russia Relations and Its Global Spillover Impact." *FDDI, Fudan University*, March 3. https://fddi.fudan.edu.cn/fa/64/c21253a719460/page.htm.
9. Statista. 2024. *Combined Gross Domestic Product (GDP) in Purchasing Power Parity (PPP) of the BRICS and G7 Countries from 2000 to 2024*. https://shorturl.at/CXUlQ.
10. Wang, Lianhe. 2024. "The Rise of American Populism in Recent Years and Its Diplomatic Impact." *People's Daily*, October 22. https://en.people.cn/.
11. Wang, Yi. 2025a. "Answers Questions from Chinese and Foreign Journalists on China's Foreign Policy and External Relations." *Ministry of Foreign Affairs of China*, March 7. https://www.mfa.gov.cn/web/wjbz_673089/.
12. Wang, Yi. 2025b. "Keynote Speech at the 61st Munich Security Conference 'China Session'." *Ministry of Foreign Affairs of China*, February 15. https://www.fmprc.gov.cn/eng/.
13. Wu, Baiyi. 2022. "Some Lessons from the Russia-Ukraine Crisis and China's Response." *17+1 Think Tank*, April 25. https://www.17plus1-thinktank.cn/article/1539.html?source=article_link.
14. Wu, Bin. 2022. "The Global Energy Market Landscape Has Changed." *ICBC Guangxi*, April 25. https://www.gx.icbc.com.cn/page/721852563472547872.html.
15. Xinhua News Agency. 2022a. "The United States Is the 'Black Hand' Behind the Ukrainian Crisis." April 26. http://www.news.cn/world/2022-04/26/c_1128597073.htm.
16. Xinhua News Agency. 2025. "Looking at 'America First' in US-EU Relations from the Perspective of the Ukrainian Crisis." February 25. https://english.news.cn/china/index.htm.
17. Zhou, Yu. 2025. "Three Years into the Russia-Ukraine Conflict: U.S.–Russia Resume Contact — But Is Europe the Biggest Loser?" *CZTV*, February 25. https://fddi.fudan.edu.cn/fddien/main.htm